

## შიდა აუდიტორული შემოწმების ანგარიში

2023 წელი

## შემაჯამებელი მიმოხილვა

შესაბამისობის აუდიტორული შემოწმების ფარგლებში შიდა აუდიტის სამსახურმა (შემდგომში შიდა აუდიტი/შიდა აუდიტის სუბიექტი) განახორციელა სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს (შემდგომში - მაუწყებელი) მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების პროცედურის შემოწმება.

აუდიტის ობიექტში ჩატარებული შესაბამისობის აუდიტორული შემოწმების ფარგლებში, აუდიტის სუბიექტმა, მომზადების ეტაპზე, აუდიტის რესურსისა და შესასწავლი აქტივობების/პროცესების მოცულობიდან, ასევე მნიშვნელობიდან გამომდინარე, შესაბამისი რისკ-ფაქტორების მეშვეობით გამოკვეთა ყველაზე მაღალი რისკის დონის მქონე პროცესი/აქტივობა მაუწყებლის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებიდან შემდეგი პროცესები: შესყიდვების გეგმის შემუშავების მიზნით საჭიროებების განსაზღვრა; ბაზრის გამოკვლევის შედეგების ანალიზი და შესყიდვის ობიექტების მოცულობების განსაზღვრა; შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების დადგენის მიზნით ბაზრის კვლევის განხორციელება, მიღებული ინფორმაციის ანალიზი, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების შესრულების კონტროლთან/ მონიტორინგთან დაკავშირებული პროცესები. შემდგომ ეტაპზე, ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მოახდინა რისკების იდენტიფიცირება და მისი შეწონვა მოხდენის ალბათობისა და გავლენის მიხედვით. მიღებული შედეგების გათვალისწინებით შეირჩა მაღალი რისკის მქონე პროცესები.

შერჩეული შესამოწმებელი პროცესების მიხედვით, გამოვლინდა შემდეგი რისკები:

- არაეფექტური კონტროლის მექანიზმები;
- დასახული მიზნების მიუღწევლობა/დროში შეფერხება;

## ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

- სააუდიტო პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების გეგმების შემუშავებამდე საჭიროებებისა და მოცულობების განსაზღვრის შესატყვისი ღონისძიებების/აქტივობების არარსებობა;
- არ დასტურდება შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავებამდე (შესყიდვების გეგმების ჯამური ოდენობა - 2022 წელი 2 563 741 ლარი, 2023 წელი 3 781 689 ლარი) მაუწყებლის მიერ შესასყიდი საქონლისა და მომსახურების ღირებულებების ანალიზი კანონმდებლობის შესაბამისად;
- სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებამდე ბაზრის გამოკვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი არ ხდება. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება ეყრდნობა მხოლოდ გამოთხოვილ ინვოისებს.
- ცალკეულ შემთხვევებში დარღვეულია ანგარიშგების წესის მოთხოვნა.

ანგარიშში ასახული მიგნებების, შეფასებული კონტროლის მექანიზმებისა და იდენტიფიცირებული რისკების გათვალისწინებით, აუდიტის მიერ შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც ეხება:

- ✓ სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შემუშავებამდე მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობას, პროცესების ეფექტურად დაგეგმვასა და რესურსების რაციონალურად განკარგვას;
- ✓ რესურსების რაციონალურად და ეფექტურად დაგეგმვას/ხარჯვას;
- ✓ დასახული მიზნებისა და მიღწეული შედეგების ანალიზსა და დოკუმენტირებას.

ყოველივე ზემოაღნიშნული მაუწყებელს შესაძლებლობას მისცემს, უზრუნველყოს საქმიანობისა და პროცესების ეფექტიანი წარმართვა, საბიუჯეტო სახსრების რაციონალური, ეკონომიური და პროდუქტიული განკარგვა, დასახული მიზნების მიღწევა და დასმული ამოცანების შესრულება.

## დასკვნა

ჩატარებული შესაბამისობის აუდიტორული შემოწმების მიზანი იყო მაუწყებლის საქმიანობის პოლიტიკასთან, გეგმებთან, პროცედურებთან, კანონებსა და სხვა მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობის შემოწმება და შეფასება.

აუდიტის პროცესში მოპოვებულ იქნა ინფორმაცია, დოკუმენტაცია, სტატისტიკური მონაცემები, განხორციელებულ იქნა ინტერვიუები/გამოკითხვები აუდიტორთა მიერ წინასწარ შერჩეულ პირებთან და მიღებულ იქნა შესაბამისი მტკიცებულებები. შედეგად, შესაძლებელი გახდა შიდა აუდიტს მიეღო საკმარისი და ადეკვატური რწმუნება, რათა გაეკეთებინა ის დასკვნები, რომლებიც წარმოდგენილია ანგარიშში.

აუდიტორული შემოწმების პროცესში გამოვლენილი მიგნებები მიუთითებს იმაზე, რომ მაუწყებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას აუცილებელია დამატებითი კონტროლის მექანიზმების დანერგვა და გარკვეულ შემთხვევებში-უკვე არსებულის გაძლიერება. მნიშვნელოვანია, კანონმდებლობისა და შიდა მარეგულირებელი აქტების დაცვა, ასევე, მართვის სისტემის გაძლიერება.

ზვიად ბერიძე   
შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი